საქართველოს მთავრობის განკარგულება

№836 2016 წლის 18 მაისი ქ. თბილისი

საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ საფრანგეთში შეძენილი ლევილის მამულის (Leuville-sur-Orge) საქართველოსათვის გადმოცემის უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებათა შესახებ

მუხლი 1

1. ცნობად იქნეს მიღებული, მოცემული ეტაპისათვის, საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა და წარმომადგენლების მიერ, ქართველი ხალხის სახსრებით, საფრანგეთში შეძენილი ლევილის მამულის (Leuville-sur-Orge) საქართველოსათვის გადმოცემის მიზნით წარმოებული მოლაპარაკებების დასრულება.

2. მოწონებულ იქნეს 2016 წლის 9 აპრილს საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში მიღწეული შეთანხმება, ერთი მხრივ, საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წევრებისა და წარმომადგენლების შთამომავლებსა და მეორე მხრივ, საქართველოს მთავრობის უფლებამოსილ წარმომადგენლებს შორის.

3. დამტკიცდეს თანდართული დოკუმენტი, რომელიც ეფუძნება 2016 წლის 9 აპრილის შეთანხმებას და ასევე იზიარებს ამ შეთანხმებაში საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წევრებისა და წარმომადგენლების შთამომავლების მიერ 2016 წლის 28 აპრილს წარდგენილი დამატებების უმრავლესობას, როგორც „საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წევრებისა და წარმომადგენლების შთამომავლების მიერ ლევილის მამულის საქართველოსთვის გადმოცემის თაობაზე საქართველოს მთავრობის პოზიცია“.

მუხლი 2

1. ეთხოვოთ საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წევრებისა და წარმომადგენლების შთამომავლებს, ამ განკარგულებითა და მისი დანართით გათვალისწინებული პირობებით, განახორციელონ ლევილის მამულის საქართველოსათვის გადმოცემის შესახებ წინასწარი თანხმობის აქტზე საზეიმო ხელმოწერა, ქ. თბილისში 2016 წლის 26-27 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის 25-ე წლისთავთან დაკავშირებული საზეიმო ღონისძიებების ფარგლებში.

2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, ამ განკარგულების დანართით წარმოდგენილი პროექტის განხორციელების მიზნით, აუცილებელი სახსრები 2017-2027 წლებისათვის გაითვალისწინოს შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტის მომზადებისას.

3. დაევალოთ დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატსა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ლევილის მამულის საქართველოსათვის გადმოცემის შესახებ წინასწარი თანხმობის აქტისა და ლევილის მამულის საქართველოსათვის გადმოცემის საბოლოო აქტის ხელმოწერისათვის საჭირო ღონისძიებების გატარება.

4. ეთხოვოთ საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წევრებისა და წარმომადგენლების შთამომავლებს, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული წინასწარი თანხმობის აქტზე ხელმოწერის შესაძლებლობის/შეუძლებლობის მიუხედავად, ამ განკარგულების საფუძველზე, ამავე განკარგულებით გათვალისწინებული პირობებით, ლევილის მამულის საქართველოსათვის გადმოცემის საბოლოო აქტს ხელი მოაწერონ 2016 წლის 20 სექტემბრამდე.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი

დანართი

საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წევრებისა და წარმომადგენლების შთამომავლების მიერ ლევილის მამულის საქართველოსთვის გადმოცემის თაობაზე საქართველოს მთავრობის პოზიცია

საქართველოს მთავრობა კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს როგორც მის მიერ, ასევე საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს სხვადასხვა მთავრობის მიერ არაერთხელ საჯაროდ გაცხადებულ მიზანს - საფრანგეთში მდებარე ლევილის მამულს მომავალში შეუნარჩუნდეს ისტორიული და კულტურული პროფილი, რომელიც მოემსახურება:

- საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის (შემდგომში - „პირველი რესპუბლიკა") ისტორიული მნიშვნელობის დემონსტრირებასა და კვლევას, მისი წარმომადგენლების საქმიანობის კიდევ მეტ პოპულარიზაციას, როგორც რესპუბლიკისა, ~~რომლის~~ ღირებულებებსაც ეფუძნება და რომლის ~~ტრადიციებსაც~~ აგრძელებს საქართველოს დღევანდელი დემოკრატიული სახელმწიფო;
- საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს ისტორიის კვლევას, მის მიერ დამოუკიდებლობის სხვადასხვა პერიოდში ადამიანის უფლებების განმტკიცებისა და დამოუკიდებელი ინსტიტუტების მშენებლობის ისტორიის კვლევას, საქართველოს ევროპულ გზაზე წინსვლისა და ევროპაში ინტეგრაციის ისტორიის კვლევას;
- საქართველოს, მისი ტრადიციებისა და კულტურის წარმოჩინებას;
- ქართულ-ფრანგული ურთიერთობების კვლევასა და მათ გაღრმავება განმტკიცებას;
- საქართველოს ახალი თაობების ევროპულ კულტურულ ღირებულებებთან ზიარებას, რამეთუ საქართველოს ამჟამინდელი მთავრობის მიზანი არა მხოლოდ ისტორიის კვლევა და ისტორიული მეხსიერების შენარჩუნებაა, არამედ მისი საქმე ასევე მიმართულია მომავალი თაობის განათლება-განვითარებისაკენ.

შესაბამისად, საქართველოს მთავრობა, საქართველოს პირველი რესპუბლიკის მთავრობის წევრებისა და წარმომადგენლების შთამომავლებთან (შემდგომში - ოჯახები) გამართული ინტენსიური და ხანგრძლივი მოლაპარაკებების შედეგად მიღწეული შეთანხმებების საფუძველზე, გამოთქვამს მზაობას, ოჯახების მიერ ლევილის მამულის საქართველოსთვის გადმოცემის შემთხვევაში, იკისროს შემდეგი ვალდებულებები:

ქართულ ენაზე, ლევილის მამულის ოფიციალური სახელწოდება იქნება: „პირველი რესპუბლიკის ისტორიული და კულტურული ქართულ-ფრანგული მემორიალური ცენტრი. ლევილის ქართული აკადემია."

ფრანგულ ენაზე, ლევილის მამულის ოფიციალური სახელწოდება იქნება: "Centre mémoriel historique et culturel franco-géorgien de la première République. Académie géorgienne de Leuville-sur-Orge."

ლევილის მამული დარჩება საქართველოს საკუთრებაში, გასხვისების შესაძლებლობის გარეშე, და მომავალშიც იქნება ღია დაინტერესებული პუბლიკისათვის.

ლევილის შატოს პირველი სართულს (ფრანგულად - rez-de-chaussé) მთლიანად დაიკავებს პირველი რესპუბლიკისადმი მიძღვნილი ისტორიული სივრცე (მუზეუმი, და სხვ.) და ადმინისტრაციისთვის განკუთვნილი სამუშაო სივრცე. ისტორიული სივრცის ერთ ნაწილში შესაძლებელია დროებითი გამოფენების მოწყობა, რომლებიც შეესაბამება წინამდებარე დოკუმენტის შესავალში გაცხადებულ პროფილსა და მიზნებს.

~~წინა პუნქტში მოხსენიებული~~ ისტორიული სივრცის ~~- პირველი რესპუბლიკ~~ის მუზეუმის - ფორმირებისათვის შეიქმნება დროებითი კომიტეტი, რომელიც მოხალისეობრივ საწყისებზე გააერთიანებს ქართველ და უცხოელ პროფესიონალებსა და ლევილის მამულის საქართველოსათვის გადმოცემის აქტზე ხელმომწერი ოჯახების წარმომადგენლებს.

ლევილის შატოს მეორე სართულზე (ფრანგულად - premier étage), ნოე ჟორდანიას კუთვნილ ოთახში, მოეწყობა ნოე ჟორდანიას კაბინეტი. თუკი არქიტექტურული თვალსაზრისით შესაძლებელი აღმოჩნდება ქვედა სართულიდან პირდაპირ მოცემულ კაბინეტში მოხვედრა მეორე სართულზე მოწყობილი სხვა სივრცეების გვერდის ავლით.

ქართველი ხელოვანების, ისტორიკოსებისა და მკვლევარებისათვის, მათ შორის სტუდენტებისთვის (შემდგომში - რეზიდენტები), მამულში მოეწყობა ქართული აკადემია, რომელშიც, რამდენიმეთვიანი როტაციის პრინციპის დაცვით, საქართველოდან წარგზავნილნი იქნებიან ისტორიულ-კულტურული სფეროს ზემოხსენებული წარმომადგენლები.

შესაბამისად, შატოს მეორე სართულის (ფრანგულად - premier étage) დანარჩენ სივრცეში (ე.ი. ნოე ჟორდანიას კაბინეტის მიღმა) მოეწყობა რეზიდენტთათვის საცხოვრებელი ოთახები, სამზარეულო და სასადილო სივრცე.

შატოს მეორე სართულზე (ფრანგულად - premier étage) ამგვარად მოწყობილ საცხოვრებელ ოთახებს მიენიჭებათ პირველი რესპუბლიკის წარმომადგენლების სახელები, სახელების

შეირჩევა უნდა მოხდეს გასაგები მეთოდით და ექვემდებარებოდეს გარკვეულ ლოგიკას, რის შესახებაც აუცილებელია ოჯახებს მიერის კონსენსუსი.

ლევილის შატოს მესამე სართულზე, ამჟამინდელ სხვენში (grenier), მოეწყობა რეზიდენტთათვის სამუშაო სივრცე და დარბაზები. მათში შესაძლებელი იქნება ვიზიტორი მკვლევარების მიღებაც.

მამულის რეკონსტრუქცია-რესტავრაციის სამუშაოების ჩატარებისას, ქრონოლოგიურად პირველი პრიორიტეტი იქნება შატოს რეკონსტრუქცია-შეკეთება. რა დროსაც მხედველობაში მიიღება ის ფაქტი, რომ ეს მამულის პროექტის ყველაზე ძვირადღირებული კომპონენტია და საქართველოს სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისი თანხების ერთიანად მობილიზებისათვის მეტი დრო იქნება საჭირო.

მამულის საქართველოსთვის გადმოცემის შემთხვევაში, შატოს რეკონსტრუქცია-რესტავრაციის ფაზის პარალელური, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში წინარე, ეტაპი იქნება ოჯახების გადაწყვეტილებით მამულში სხვადასხვა დროს შეფარებული და ამჟამად იქ მუდმივად მცხოვრები იმ ფიზიკური პირების საცხოვრისის საკითხის გადაჭრა, რომლებიც არ იმყოფებიან ~~უკანონოდ საფრანგეთის სახელმწიფოს ტერიტორიაზე და სხვაგან~~ არსად აქვთ წასასვლელი. მამულის ტერიტორიაზე ასეთი საცხოვრებელი ოთახების საჭირო მაქსიმალური ოდენობაა 5. წყვილებისათვის იგულისხმება ერთი ოთახი (დათო და მერი ფავლენიშვილები), ისევე როგორც მარტო მცხოვრები პირებისაოვის (ფრანსის ლეგრანი; ირაკლი შარაშენიძე), გარდა ნიკოლ-ეთერი წერეთლისა, რომელსაც მიეკუთვნება ორი ოთახი. მოცემულ პირებს ოთახები გადაეცემათ დროებით სარგებლობაში და ეს უფლება არ გადაეცემათ მათ შთამომავლებს.

მოცემული ფიზიკური პირებისათვის საცხოვრისის საკითხის გადაჭრა ნიშნავს მათთვის მამულშივე, შატოს შენობის მიღმა, საცხოვრებელი ოთახების მშენებლობას/მოწყობას. მაგრამ არ გამორიცხავს საქართველოს მთავრობის ლევილის მუნიციპალიტეტთან მუშაობას, ამ პირების სურვილის შემთხვევაში, მამულის გარეთ მათთვის სოციალური საცხოვრისის მოპოვების მიზნით.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთავრობას არ აქვს იურიდიული ვალდებულება გაითვალისწინოს ე.წ. „მორალური ანდერძის" ტექსტი (ხელმოწერილი უნდა იყოს ა. ჩხენკელის, ე. გეგეჭკორისა და კ. კანდელაკის მიერ 1953 წელს), რომლის არც დედანი და არც ხელმოწერილი ავთენტური ასლი ოჯახებს არ გააჩნიათ, ის პატივს მიაგებს პირველი რესპუბლიკის მესვეურთა ხსოვნას, მათ შთამომავლებს და, ოჯახების სურვილის თანახმად, იღებს ვალდებულებას, მამულის საქართველოსთვის გადმოცემის შემთხვევაში განახორციელოს შემდეგი. ძველი ემიგრაციის შთამომავლებისთვის მოხდება დროებითი საცხოვრებელი ოთახების მოწყობა მამულის იმ ტერიტორიებზე, რომლებიც ამჟამად

იწოდებიან ორანჟერეად და „ბაბი" დ. ამგვარი ოთახების მოწყობა არ იგულისხმება მატის შენობაში. ძველი ემიგრაციის მთამომავლებისათვის დროებითი საცხოვრებელი ოთახების მოწყობა გულისხმობს საფრანგეთში არსებულ ე.წ. სტუმრის ოთახების სისტემას და არა პრივატული ბინების ან პრივატული ოთახების მიკუთვნებას კონკრეტული პირებისათვის. მომდევნო პუნქტით დადგენილი პირობებით სტუმრის ოთახებით სარგებლობის უფლება ექნებათ შემდეგ პირებს: ნათელა ჟორდანია; მიშელ რამიშვილი; ქრისტინე ფაღავა-ბულეხი; ნუცა გორდელაძე; ეთერ ფარავა-დუე და ტარიელ ფაღავა; ტიერი ბერიშვილი; ირენ ციციშვილი; თინა ინასარიძე; ეთერ დელონი; როდამ ცომაია; ანეტა დავრიშაშვილი; არჩილ დავრიშაშვილი; გიორგი და ნანა ფერაძეები. შესაბამისად, ამ მიზნებისათვის საჭირო იქნება 13 სტუმრის ოთახი, რომლებითაც, მოცემული პირების არყოფნისას ისარგებლებს ნებისმიერი სხვა პირი.

წინა პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ სტუმრის ოთახი იჯავშნება წინასწარ, რისთვისაც აუცილებელია, რომ სასურველ დროს ის იყოს ვაკანტური. ჩვეულებრივი მომხმარებლისგან განსხვავებით, ამ ოთახებით შეღავათიან ფასად (tarif privilège) ისარგებლებენ მხოლოდ წინა პუნქტში ჩამოთვლილი პირები, წლის განმავლობაში ერთი თვის პერიოდით. მოცემული პრივილეგიით წინა პუნქტში ჩამოთვლილი პირები სარგებლობენ მათი სიცოცხლის განმავლობაში. ეს უფლება არ გადაეცემათ მათ მთამომავლებს.

მამულის ტერიტორიაზე მცხოვრებ პირებს ექნებათ ვალდებულება. დაიცვან ადმინისტრაციის მიერ შემუშავებული შინაგანაწესი.

ამჟამად ორანჟერეად წოდებული შენობების ტერიტორიაზე ოთახების მოწყობას წინ უძღვის კანალიზაციის სისტემის მოწყობა. ვინაიდან მოცემული შენობების კანალიზაციის წყლები ამჟამად იღვრება ბუნებაში.

პარკში აღმოჩენილი მე-16 საუკუნის წყლის ცირკულაციის სისტემა აღდგენილი იქნება იმ ხარისხითა და ტემპით, რაც აუცილებელია შატოს სარდაფის წყლისგან გასათავისუფლებლად და სხვა ადგილებში წყლის სტაგნაციის თავიდან ასაცილებლად.

მამულის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის პროცესისა და სამუშაოების მიმდინარეობისას, პარკი და მამული არ იქნება დაკეტილი, მაგრამ მამულის ტერიტორიასა და შენობებში მოძრაობა შეიძლება შეიზღუდოს უსაფრთხოების წესების დაცვის მიზნით.

შესასვლელის შენობებში მოეწყობა გუშაგის ბინა სველი წერტილებით, ქართული სუვენირების მაღაზია და, ფინანსური და ადამიანური რესურსების არსებობის შემთხვევაში, ქართული კაფე-რესტორანი, რომელიც ისარგებლებს წინ განლაგებული მიწის მონაკვეთით საზაფხულო ტერასის სახით.

საქართველოს მთავრობა, რომელიც პატივს ცემს ფეოდალურ კულტურულ მემკვიდრეობას, იტოვებს უფლებას, ფინანსური და სხვა რესურსის არსებობის შემთხვევაში, რესტავრაცია ჩაუტარების მამულის ტერიტორიაზე აღმოჩენილ, მე-16 საუკუნის წყლის ცირკულაციის სისტემებს, მღვიმეებს, შადრევნებს და სხვა, ძველ ობიექტებს, რაც ამჟამად არის ან არ არის ხილული.

ამჟამინდელი ბიბლიოთეკის შენობას ჩაუტარდება რემონტი და ის, პოლკოვნიკ წერეთლის ყოფილი ბინის სივრცესა და ე.წ. ქვაფენილიან ეზოსთან ერთად შექმნის საბიბლიოთეკო და სამედიათეკო სივრცეს, სადაც ასევე იმუშავებს კომპიუტერული ცენტრი და სამკითხველო დარბაზი; ამ უკანასკნელის მთავარი არქიტექტურული მახასიათებელი ინება ბუნებასთან კავშირი. ბიბლიოთეკის პირველი ოთახი პატივს მიაგებს იქ ადრე არსებული ისტორიული სტამბას.

მოვლილი და განვითარებული იქნება მამულის პარკი, სადაც საპატიო ადგილს ქართული ჯიშის ხეები და ხეხილი დაიკავებს. მიწის ერთ მონაკვეთზე მოშენდება ქართული ვენახი.

სამუშაოების დასრულების შემდეგ, მამულის პარკში მაქსიმალურად შეიზღუდება ავტომობილებით მოძრაობა და ის ~~დაექვემდებარება~~ საჭიროებებიდან გამომდინარე, წინასწარ შემუშავებულ წესებს.

ფინანსური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, პარკში შესაძლოა დაიდგას ერთი ხის ქართული ოდა, რომლის მთავარი დანიშნულება ღვინის დეგუსტაცია და ქართული ვენახისა და ღვინის პოპულარიზაცია იქნება.

ფინანსური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, პარკში შესაძლოა მოეწყოს ბუნებასთან შერწყმული ადგილმდებარეობისა და არქიტექტურული ვიზუალის მქონე დარბაზი, რომელიც საჭიროებისამებრ გაქირავდება და რომლის მთავარი დანიშნულება მიღებების, სპექტაკლების, ქორწილების, კინოჩვენებებისა და სხვა, ქართველი ერის ისტორიასა და კულტურასთან დაკავშირებული ღონისძიებების მასპინძლობა იქნება.

ამჟამინდელ „ჰამო"-ს ტერიტორიაზე მოეწყობა სახელოსნოები ვიზიტორი ხელოვანებისათვის და რამდენიმე საცხოვრისი.

თითოეული ზემოხსენებული ღონისძიება, სარეკონსტრუქციო სამუშაო თუ ნაბიჯი განხორციელდება საფრანგეთის კანონთან შესაბამისობაში და ამ განკარგულებით დადგენილი შესაძლებლობის ფარგლებში.

თითოეული ზემოხსენებული ღონისძიება, სარეკონსტრუქციო სამუშაო თუ საბიჯი დაიგეგმება და ჩატარდება საქართველოს სახელმწიფოს ხელთ არსებული ფინანსური რესურსის მობილიზების კანონის მიხედვით და გაიწერება დროში.

წინა პუნქტებში მითითებული ამოცანების განსახორციელებლად, აუცილებელია მამულის გადმოცემა ქართველი ხალხისათვის, რომელიც მოლაპარაკებებში წარმოდგენილი იყო მის მიერვე დემოკრატიულად არჩეული მთავრობის წევრების მიერ.

ლევილის მამულის საქართველოს საკუთრებაში გადმოცემას უნდა გააჩნდეს იურიდიული ძალმოსილება გადმოცემის შესახებ შესაბამისი სანოტარო აქტის ხელმოწერისთანავე.

საქართველოს მთავრობის მიერ 2012 წელს შექმნილი და ამჟამად მოქმედი პარიტეტული კომისია განახორციელებს ზემოჩამოთვლილი სამუშაოების მიმდინარეობისა და პირობების შესრულებაზე კონტროლს. ამ კონკრეტული მიზნებისათვის პარიტეტული კომისიის შემადგენლობა შეიძლება გადახალისდეს.

დაწესებულების „პირველი რესპუბლიკის ისტორიული და კულტურული ქართულ-ფრანგული მემორიალური ცენტრი, ლევილის ქართული აკადემია“ მმართველ საბჭოში ლევილის მამულის საქართველოსთვის გადმოცემის სანოტარო აქტის ხელმომწერ იურისტებს ეყოლებათ 2 წარმომადგენელი, ასევე 2 წარმომადგენელი ეყოლებათ საფრანგეთში მცხოვრები ქართული დიასპორის დანარჩენ წარმომადგენლებს. ეს სამუშაო არ ანაზღაურდება.

საქართველოს სახელმწიფო და ქართველი ხალხი იქნება უფლებამოსილი, ლევილის მამულში განახორციელოს სხვა დამატებითი ინფრასტრუქტურული პროექტები და ღონისძიებები, რომლებიც წინამდებარე დოკუმენტში არ არის მოცემული, მაგრამ შეესაბამება მის პრეამბულაში გაცხადებულ პროფილსა და მიზნებს.